ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/19-159

ქ. ბათუმი 2019 წელი

ერთის მხრივ **შპს ,,სანდასუფთავება“** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით დუმბაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „NEW TECHNICS“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის ზვიად წილოსანის სახით, 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე–2 მუხლის, ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2 ცალი შესაწამლი აპარატი BAIKAL HQ-767 (25L) შეძენა. **CPV39330000,** (შემდგომში–საქონელი)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. 1 ცალი შესაწამლი აპარატი BAIKAL HQ-767 (25L) ღირებულება შეადგენს 170 ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **340** (სამასორმოცი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან და თანმდევი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სააანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია **შპს ,,სანდასუფთავების“ მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი დავით დევაძე.**

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 დღის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და დროულობაზე.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

6.2. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02 % ოდენობით.

8.2 თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 10 დღეს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით.

8.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გამოყენებული სამართალი

11.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის მოემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს ,,სანდასუფთავება“	**შპს „NEW TECHNICS“**
მის: ქ. ბათუმი,	მის: ბათუმი
ჯავახიშვილის ქუჩა #55	პუშკინის ქ. #4
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 445384726
სს ,,საქართველოს ბანკი“	სს ,პროკრედიტ ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22	ბ/კოდი: MIBGGE22
ა/ა GE57BG0000000524452400	ა/ა GE89PC0033600100048635
შპს ,,სანდასუფთავება“	**შპს „NEW TECHNICS“**
დირექტორი	**დირექტორი**
დავით დუმბაძე	**ზვიად წილოსანი**
_____	_____

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შპს „სანდასუფთავების“ დირექტორი დავით დუმბაძე და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი დავით დევაძე, ვადასტურებთ, რომ **შპს „NEW TECHNICS“** -სთან, გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №ს/შ19-159, ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება“-ს დირექტორი:

დავით დუმბაძე

შპს „სანდასუფთავება“-ს მატერიალური რესურსების

მართვის სამსახურის უფროსი:

დავით დევაძე

Davit Devadze

Подписано цифровой подписью: Davit Devadze
Дата: 2019.09.26 12:21:34 +04'00'